ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 12

7 სექტემბერი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, დოლაბაურის I ქუჩისთვის, დოლაბაურის III ჩიხისთვის, დოლაბაურის გასასვლელისთვის, დოლაბაურის I ჩიხისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში მდებარე უსახელო სკვერისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან დევდარიანის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მარინა ჭყონია-სამარგულიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ილია ბაბუციძის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბნის დასახლების III მიკრო/რ-ნის, I კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ჯოჯუას სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კახაბერ თავგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ოთხი ჩიხისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კობა სერგიას სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ბერიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თოდორე უშაკოვის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თენგიზ შეშელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ანზორ გელდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ნატალია სამქანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, საცხენისის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჟურნალისტის, გიგა ჩიხლაძის სახელის მინიჭების შესახებ.
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ფოტორეპორტიორის, ალექსანდრე კლიმჩუკის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ტელეოპერატორის, სტან სტორიმანსის სახელის მინიჭების შესახებ.
16. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მერაბ ნიქაბაძის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის იუნკერის, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ მათიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პირველი მფრინავი ქართველი ქალის ფადიკო გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ
19. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ
20. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩისთვის სპორტსმენის, მოჭიდავის ვლადიმერ რუბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
21. . ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის სოფიო ყულოშვილის სახელის მინიჭების შესახებ
22. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ერთი უსახელო ჩიხისთვის ბათლომე ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ
23. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
24. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლევან ჩარკვიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭების შესახებ
25. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2022** წლის **10** ივნისის **#288** განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ
26. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გენო ადამიას ქუჩის გაგრძელების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ დამსწრე საზოგადოებასთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. მისი ინფორმაციით, მ/წელს 14 წელი შესრულდა რუსეთ-საქართველოს ომიდან. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას საომარ მოქმედებებში გარდაცვლილთა ღვაწლის სათანადოდ დაფასების მიზნით, თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის მათი სახელების მინიჭება წარმოადგენს.

რუსეთ-საქართველოს ომიდან არაერთი ქართველი მებრძოლის გმირული თავგანწირვა გვახსოვს, გარდა ამისა საომარ მოქმედებებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში შეეწირა ერთი ქალი და ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების პროცესში მყოფი მედიის სამი წარმომადგენელი. როგორც თქვენთვის ცნობილია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 2022 წლის 8 აგვისტოს სხდომაზე, რომელსაც საომარ მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ახლობლები ესწრებოდნენ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება თბილისში არსებული რიგი ობიექტებისთვის მათი სახელების მინიჭების პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს კენჭისყრაზე დაყენებულ 15 საკითხს.

16. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მერაბ ნიქაბაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო მეთექვმეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია ვალერიან მჭედლიშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მერაბ ნიქაბაძის სახელი.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია და მერაბ ნიქაბაძის საბრძოლო მოკვლევა. 1992 წლის 3 სექტემბერს იგი „ავღანეთის“ ბატალიონში შევიდა. მონაწილეობდა ყველა საბრძოლო ოპერაციაში, რომელსაც ასრულებდა დანაყოფი. აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს მერაბ ნიქაბაძე სოხუმში მინისტრთა საბჭოს შენობის აღებისას უგზოუკვლოდ დაიკარგა.

2005 წლის 25 ნოემბერს ზემდეგი მერაბ ნიქაბაძე დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. გარდაცვალების იურიდიული ფაქტის დადგენით გაიცა გარდაცვალების მოწმობა, რომლის საფუძველზეც მერაბ ნიქაბაძე ითვლება აფხაზეთში დაღუპულად.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მერაბ ნიქაბაძის სახელი.

17. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის იუნკერის, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ მათიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აღნიშნული საკითხის შესახებ. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგებლის დავით კირკიტაძის წერილი, რომლითაც მოქალაქე ნებული სვანიძე ითხოვს წავკისში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან, მასთან განვითარებულია ერთი ჩიხი.

კომისიამ იმსჯელა და სახელდებისთვის შეარჩია იუნკერის, საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ მათიკაშვილის სახელი. ხსენებულ სახელდებას ამართლებს ის გარემოებაც, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ასევე იუნკერ არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან.

ნიკოლოზ მათიკაშვილი 1921 წლის თებერვალში სხვა იუნკერების მსგავსად იცავდა თბილისის მისადგომებს. დამარცხების შემდეგ რამდენიმე იუნკერი ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო სასწავლებელში მოსაწყობად გაემგზავრა. მათ შორის იყო ნიკოლოზ მათიკაშვილი.

იგი ათენის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა, შემდეგ პოლონეთის არმიაში დაიწყო სამსახური.

1930-იან წლებში საფრანგეთში ნოე რამიშვილის ინიციატივით მოეწყო სამხედრო კურსები, რომელსაც ნიკოლოზ მათიკაშვილი ხელმღვანელობდა. ნიკოლოზ მათიკაშვილი მონაწილეობდა 1944 წლის ვარშავის აჯანყებაში. იგი პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის "ვირტუტი მილიტარის" კავალერი იყო.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია დედაქალაქში არსებობდეს მისი სახელობის ქუჩა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეჩვიდმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს მიენიჭოს იუნკერის, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ მათიკაშვილის სახელი.

18. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პირველი მფრინავი ქართველი ქალის ფადიკო გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი მეთვრამეტე საკითხი. კომისიაში შემოსულია შპს „გლობალ დისტრიბუშენის" და შპს „რსედის" წარმომადგენლის ნინო ნიკოლავას განცხადება, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან. როგორც ცნობილია, გენდერული ბალანსის აღდგენის მიზნით კომისია რიგი ქუჩებისთვის აგრძელებს ქალთა სახელების მინიჭებას, ვინაიდან გენდერული დისბალანსი თბილისის ურბანულ გარემოში თვალშისაცემია.

სახელდებისთვის შერჩეულ იქნა პირველი მფრინავი ქართველი ქალის, ფადიკო გოგიტიძის სახელი, რომელიც 24 წლის ასაკში ერთ-ერთი საცდელი ფრენისას ბათუმის ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე დაიღუპა.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს პირველი მფრინავი ქართველი ქალის ფადიკო გოგიტიძის სახელი.

19. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია Forbes Georgia მთავარი რედაქტორის გიორგი ისაკაძის, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის, სტარტაპ ბიუროს თანადამფუძნებლის გური ქოიავას, BTU რექტორის ნინო ენუქიძის, ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის ნინო ზამბახიძის, სიბიეს ჯგუფის კომუნიკაციების დირექტორის ნათია მიქიაშვილის და Covider-ის თანადამფუძნებლის სანდრო კანდელაკის ერთობლივი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია გეოგრაფიული ობიექტისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭება.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გამოკვლეული იქნა ნიკო კვარაცხელიას მიერ სიცოცხლის ხანმოკლე პერიოდში რეალიზებული იდეები და ინოვაციური მიდგომები.

კონსულტაციები გაიმართა, როგორც საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგანტოსთან ასევე ხსენებული სფეროს სხვა წარმომადგენლებთან.

ნიკო კვარაცხელიას სახელს უკავშირდება არაერთი ციფრული პლატფორმა.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს მისი სახელობის გეოგრაფიული ობიექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ნიკო კვარაცხელიას სახელი.

20. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩისთვის სპორტსმენის, მოჭიდავის ვლადიმერ რუბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი. კომისიაში შემოსულია საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თ.გ ეგეშიძის წერილი, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის ვლადიმერ რუბაშვილის სახელი.

კომისიამ შეისწავლა ვლადიმერ რუბაშვილის ბიოგრაფია. ვლადიმერ რუბაშვილი იმ სპორტსმენთა რიგებს მიეკუთვნება, რომლებმაც მიუხედავად სიცოცხლისა და კარიერული მოღვაწეობის ხანმოკლე პერიოდისა, საყოველთაო აღიარება, დამსახურებული ჯილდოები და ხალხის დიდი სიყვარული მოიპოვეს. ჭიდაობის აქტიური სტილით და თავისებური ტექნიკით

გამორჩეული ვლადიმერ რუბაშვილი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური და თვითმყოფადი მოჭიდავეების რიგებშია.

სახელდებისთვის კომისიამ შეარჩია შალვა კოხრეიძის ქუჩა ნაძალადევის რაიონში. შალვა კოხრეიძე იყო თბილისის საორთქლმავალო დეპოს მემანქანე, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ-ს წევრი.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოაღნიშნული ქუჩისთვის ხსენებული სახელის გადარქმევას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოცე

საკითხი.

.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩას მიენიჭოს სპორტსმენის, მოჭიდავის ვლადიმერ რუბაშვილის სახელი.

21. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის სოფიო ყულოშვილის სახელის მინიჭების შესახებ
22. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ერთი უსახელო ჩიხისთვის ბათლომე ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე როზა ყაზაიშვილს, რომელიც ითხოვს რომან გვენცაძის ქუჩის მიმდებარედ ტერიტორიაზე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიაში ანალოგიური მოთხოვნით შემოსულია ზემოხსენებული ქუჩის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება.

კომისიამ შეისწავლა ტერიტორია. უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება. ქუჩასთან ასევე განვითარებულია ერთი უსახელო ჩიხი.

ტერიტორიის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარეობს უსახელო ქუჩა, რომლის სახელდებისთვისაც კომისიამ შეარჩია პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის სოფიო ყულაშვილის სახელი.

სოფიო ყულოშვილი ბათლომე ხუციშვილთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ჰერეთში. მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ადგილობრივ „საქალებო“ სკოლასი ქართული ენის სწავლებისა და ქალებისთვის სათანადო განათლების მიცემის საქმეში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ოცდამეერთე და ოცდამეორე საკითხებს საკითხს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს სოფიო ყულოშვილის სახელი.

ისნის რაიონში, გაგრძელდეს ბათლომე ხუციშვილის ქუჩა და ქუჩასთან არსებულ ერთ უსახელო ჩიხს მიენიჭოს ბათლომე ხუციშვილის სახელი

23. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაცით, კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას, მოქალაქე გიული მემარნიშვილის მიმართვის საფუძველზე, მითითებული საკადასტრო ერთეულისთვის მისამართის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამესამე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის სახელი.

24. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლევან ჩარკვიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეოთხე საკითხი. მ/წლის 22 მარტს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ანა ქორიძის გახცხადება, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის დამისამართებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ვაკის რაიონში, ლევან ჩარკვიანის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის შესახვევს.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი – არცერთი.

თავი შეიკავა – არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ლევან ჩარკვიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს ლევან ჩარკვიანის სახელი.

25. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის #288 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ავთანდილ მაღლაკელიძის წერილი, რომლითაც ითხოვს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დამისამართების სისტემაში ცვლილებების ასახვის მიზნით ინფორმაციას რომან გვენცაძის ქუჩის ჩიხების რიგითობის შესახებ.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. როგორც ცნობილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის #288 განკარგულებით, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებულ ოთხ უსახელო ჩიხს მიენიჭა რომან გვენცაძის სახელი. დანართში (რუკა) აღნიშნული I, II და III ჩიხები დატანილია არასწორად, უნდა იყოს II, III და IV ჩიხი. რომან გვენცაძის I ჩიხი უკვე სახელდებულია და მისთვის სახელის მინიჭებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ იმსჯელა (2019 წ. 24 მაისის #167 განკარგულება).

ხსენებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის #288 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს 1. პუნქტში დანართი (რუკა).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის #288 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს 1. პუნქტში დანართი (რუკა).

26. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გენო ადამიას ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს:

ნინო ვარდოსანიძემ კომისიას განსახილველად წარუდგინა შემდეგი საკითხი. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ, მოქალაქე ირმა ზანდარაშვილის მიერ სოციალურ ქსელში მომართვის საფუძველზე ივერთუბანში, უსახელო ქუჩის სახელდების საკითხი განიხილა.

ტერიტორიის შესწავლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ჩუღურეთის რაიონში, გენო ადამიას ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მისი გაგრძელება.

ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა ოცდამეექვსე საკითხი.

მომხრე -ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ჩუღურეთის რაიონში, გაგრძელდეს გენო ადამიას ქუჩა.

საჯარო სხდომაზე განხილული საკითხების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს ინიცირებისთვის წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჩუღურეთის ხიდისთვის მწერლის გურამ დოჩანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

2. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ჭოროხის ქუჩისთვის ფოლკლორისტის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, თბილისის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის რეჟისორის, მხატვრის რევაზ გაბრიაძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის გურამ საღარაძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვლადიმერ კანკავას ქუჩისთვის კომპოზიტორის გომარ სიხარულიძის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩის შესახვევისთვის ფოლკლორისტის კუკური ჭოხონელიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და იორის შესახვევის მონაკვეთისთვის არქიტექრორის გიგა ბათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სკვერისთვის მომღერლის, მუსიკოსის ჯემალ ჭკუასელის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ზურაბ ბაკურაძის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ნავთლუღის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის საბერძნეთის სახელის მინიჭების შესახებ.

ნინო ვარდოსანიძემ პირველი საკითხის განხილვისას კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ჩუღურეთის ხიდისთვის მწერალ გურამ დოჩანასვილის სახელის მინიჭების შესახებ. მწერლის ღვაწლის დამსახურების გათვალისწინებით კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ საკითხს.

მეორე საკითხი ჭოროხის ქუჩისთვის ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭებას ეხება. ხსენებული გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ფოლკლორის ცენტრის მიმდებარედ,

ჩუღურეთის რაიონი ასევე აერთიანებს იმ საზოგადო მოღვაწეთა სახელობის ქუჩებს, რომლებიც კულტურის სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები და ანზორ ერქომაიშვილის თანამედროვეები არიან.
მესამე საკითხი შეეხება მთაწმინდის რაიონში, თბილისის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის რეჟიდსორის , რეჟისორის, მხატვრის რევაზ გაბრიძ?ის სახელის მინიჭებას. კომისიამ კონსულტაციები გამართა რევაზ გაბრიაძის ოჯახის წევრებთან. მსახიობის ვაჟის მოსაზრებით მნიშვნელოვანი იქნება თუ ქუჩას სახელწოდება მიენიჭება ოქროყანაში, იმ ტერიტორიაზე სადაც რევაზ გაბრიაძე ცხოვრობდა. ხსენებულ ტერიტორიაზე ასევე დაგეგმილია მუზეუმისა და შემოქმედებითი სივრცის მოწყობა.

მეოთხე საკითხი შეეხება მთაწმინდის რაიონში, ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპიროსთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის გურამ საღარაძის სახელის მინიჭებას.კომისიამ გაითვალისწინა მსახიობის ბიოგრაფია და ღვაწლი და აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი. ინიციატივა შეეხება ჩუღურეთის რაიონში ვლადიმერ კანკავას ქუჩისთვის კომპოზიტორ გომარ სიხარულიძის სახელის მინიჭებას. ვლადიმერ კანკავას ბიოგრაფიული მონაცემებისა და მისი სახელობის ობიექტების დამუშავების პროცესში დადგინდა, რომ იგი გახლდათ მარტვილის მუნიციპალიტეტიდან, მარტვილის მუნიციპალიტეტში არის როგორც მისი სახელობის გეოგრაფიული ობიექტი, ასევე აღმართულია ძეგლი. ვინაიდან მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილი ქართველების სახელზე თბილისში არსებობს შესაბამისი მემორიალები და ქუჩები, რომლებიც განპიროვნებული არაა და თემატურადაა სახელი მინიჭებული კომისიას შესაძლებლად მიაჩნია ცვლილების განხორციელება.
შემდეგი სახელდების ინიციატივა კვლავ ჩუღურეთის რაიონში განხორციელდება. კერძოდ გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩის შესახვევს ფოლკლორისტის კუკური ჭოხონელიძის სახელი მიენიჭება.

ასევე სახელდება განხორცილდება ისნის რაიონში და კონსტანტინე ცუცქირიძისა და იორის შესახვევის მონაკვეთებს არქიტექტორ გიგა ბათიაშვილის სახელი მიენიჭება.

მნიშვნელოვანი სახელდება განხორციელდება დიდუბის რაიონში. გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ სკვერს მომღერლის მუსიკოს ჯემალ ჭკუასელის სახელი მიენიჭება. აღსანიშნავია, რომ ჯემალ ჭკუასელი ხსენებულ სკვერს ხშირად სტუმრობდა, მისი დაკრძალვა სკვერთან არსებულ წმინდა გიორგის სახელობის ტაძრიდან განხორციელდა.
ნინო ვარდონაძის ინფორმაციით გლდანის რაიონში, მუხიანში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭება მომღერლის ზურაბ ბაკურაძის სახელი.

დღის წესრიგით წარმოდგენილი ბოლო საკითხი შეეხება ისნის რაიონში უსახელო სკვერისთვის საბერძნეთის სახელის მინიჭებას. გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის მიმართულებით არაერთი შეხვედრა გაიმართა როგორც საქართველოში საბერძნეთის

ელჩთან, ასევე საელჩოს სხვა ოფიციალურ პირებთან და დიასპორის წარმომადგენლებთან.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

ნინო ვარდოსანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე